საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #35

2020 წელი 17 თებერვალი 12 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ლ.დარახველიძე, ნ.რუხაძე, ო.გრიგოლია,
ი. ჯიშკარიანი, ფ.ინჯია, ლ. არველაძე,
ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ანდრია ბასილაია

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ნინო ლაცაბიძე

სხდომის თავმჯდომარე ნ.ლაცაბიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ 2020 წლის დაგეგმილი ღონისძიებები

მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ანდრია ბასილაიამ ისაუბრა ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ 2020 წლის დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ბიზნესის სტიმულირება (04.01)

თბილისის საშობაო ბაზარი

- მიკრო და მცირე ბიზნეს სექტორის მეწარმეების მხარდაჭერისა და მათი პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, საახალწლო გამოფენა-გაყიდვის ორგანიზება.

ინოვაციური ღონისძიებები

- სტარტაპებისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის, ასევე თბილისის, როგორც ჭკვიანი ქალაქის განვითარების მიზნით 4 ინოვაციური ტიპის ღონისძიების ჩატარება.

თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (04.03)

- თბილისი ციფრებში 2020
- სამუშაო ძალის უნარ-ჩვევების კვლევა პრიორიტეტული სექტორების მიხედვით
- თბილისის ბაზარზე არსებული სამუშაო ძალის კვლევა (ბიზნეს პროცესების აუთსორსინგის (BPO) და საერთო სერვის ცენტრების (SSC) სექტორის მიმართულებით)
- სხვადასხვა თემატური ბროშურებისა და კატალოგების ბეჭდვა;

არასაბიუჯეტო

- ეკონომიკური რუკა;
- ავარიული შენობების ანალიზი;
- თბილისის ეკონომიკური სექტორების ანალიზი;
- თბილისი (საქართველო) უცხოურ რეიტინგებში
- ბიუჯეტის შემოსულობების-ადგილობრივი მოსაკრებლებისა და გადასახადის ანალიზი;
- ბიზნეს სუბიექტების კვლევა და მეწარმეთა პრობლემების ანალიზი

თბილისი საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (04.04)

საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა:

- ITB ბერლინი
- WTM ლონდონი;
- ITB ჩინეთი;

- JATA იაპონია;
- TOP Resa პარიზი.
-

საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ასოციაციებში თბილისის გაწევრიანება;

შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (04.08)

თბილისის ტურისტული ვებ- პორტალის შექმნა

- საკომუნიკაციო პლატფორმა/ვებ-პორტალი, რომელიც გააერთიანებს თბილისის ტურისტულ პროდუქტებს და ღამის ეკონომიკას;
- ვიზიტორებსა და ადგილობრივებზე ორიენტირებული პლატფორმა:

ინფორმაცია თბილისში მოგზაურობაზე;

ტურისტული პროდუქტები;

ღონისძიებების კალენდარი;

კერძო ობიექტები.

City CARD ტურისტული ბარათი

- გააერთიანებს სხვადასხვა ტურისტულ პროდუქტებს;
- გაზრდის ვიზიტორთა რაოდენობას ტურიტულ ობიექტებზე;
- გაზრდის ადგილზე (ობიექტზე) დანახარჯებს;

ტურიზმის ზრდაზე ორიენტირებული ღონისძიებების ორგანიზება ან/და თანაორგანიზება

- ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის თემატური ტრენინგების/სემინარების ორგანიზება;

დედაქალაქის ტურიზმის სტრატეგიის შემუშავება UNWTO- სთან თანამშრომლობით

- თბილისის ტურისტული უპირატესობების ანალიზი;
- ტურისტული ტენდენციების ანალიზი (რეგიონი);
- არსებული ტურისტული პროდუქტების შეფასება და ახალი პროდუქტების შექმნა;
- პოტენციური სამიზნე ბაზრები და შესაბამისი მარკეტინგული აქტივობები;
- სტრატეგიის სამოქმედო გეგმა და იმპლემენტაცია, მონიტორინგი.

საერთაშორისო ან/და ადგილობრივ ტურისტულ ღონისძიებებში მონაწილეობა და ორგანიზება/თანაორგანიზება

- ადგილობრივი თემატური ღონისძიებების ორგანიზება/თანაორგანიზება, მათ შორის შეხვედრების ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებთან;
- ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებისთვის B2B შეხვედრების ორგანიზება/თანაორგანიზება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ;

ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (04.09)

პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორების მხარდამჭერი პროგრამების შედგენა და საინფორმაციო კამპანია

კვლევის შედეგად გამოვლენილი სექტორების მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვა (სამოქმედო გეგმის შემუშავება) და საინფორმაციო მხარდაჭერა

საინვესტიციო ბიზნეს ფორუმში მონაწილეობა/ორგანიზება და შეხვედრების ჩატარება ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან

- საინვესტიციო ბიზნეს ფორუმის თანაორგანიზება და მონაწილეობის მიღება
- შეხვედრები ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან და ინვესტორებთან

აზრი გამოთქვეს:

ნ.ლაცაბიძემ, ლ.დარახველიძემ, ნ.რუხაძემ, ი.ჯიშკარიანმა.

ანდრია ბასილაიამ ამომწურავი პასუხი გასცა ყველა დასმულ შეკითხვას.

ნ.ლაცაბიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ნ.ლაცაბიძე